პროექტი

„დამტკიცებულია“
ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა
მორიგი საერთო კრების 10.08.2022
წლის № 48 საოქმო გადაწყვეტილებით

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი-ს“
გადაწყვეტილება
ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა მორიგი
საერთო კრების 24.12.2021 წლის №46 ოქმით დამტკიცებულ
წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

თბილისი
2022წ.

ს/ს „სარაჯიშვილის“ სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე, აქციონერთა
საერთო კრების თავმჯდომარე:
ელგუჯა ბუბუტეიშვილი

ს/ს „სარაჯიშვილი“

ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების 18.05.2021 წლის № 46 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1. ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა რიგგარეშე კრების 24.12.2021 წლის №46 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესდებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1) მე-3 მუხლის:
ა) 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3.1 საზოგადოებას აქვს ნებადართული კაპიტალი 10 353 989 (ათი მილიონ სამას ორმოცდაცამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა) ლარის ოდენობით. წესდების რეგისტრაციის მომენტისათვის განთავსებული კაპიტალის ოდენობა შეადგენს 10 353 989ლარს“.
ბ) 3.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.2. საზოგადოებას აქვს განთავსებული ნომინალური აქციები 1 813 667 ცალის ოდენობით. აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 5,70887 ლარს, ხოლო საერთო ნომინალური ღირებულება შეადგენს 10 353 989 ლარს. საზოგადოებას სხვა სახის აქციები არ გააჩნია და არც გეგმავს მათ განთავსებას.“
გ) 3.3 პუნქტი ამოღებული იქნას.
2) მე-4 მუხლის 4.14 პუნქტში სიტყვა „საწესდებო“ შეიცვალოს სიტყვით „ნებადართული“.
3) მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის მეორე სტრიქონზე სიტყვა „დირექტორები“ ჩაისვას ფრჩხილებში.
4) მე-11 მუხლის 11.1 პუნქტში რიცხვი „10 354 043“ შეიცვალოს რიცხვით„10 353 989-ით“ და დაემატოს წინადადება „სულ განთავსებულია 1813667 ცალი აქცია“.
5) მე-20 მუხლის 20.7 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვა „ფილიალებს“ შეიცვალოს სიტყვით „ფილიალების“.
6) 24-ე მუხლს დაემატოს 24.4 პუნქტი:
„24.4 საზოგადოების წლიური ანგარიშების წარდგენის ვადად განისაზღვროს სამეურნეო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 მაისისა, ხოლო ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენის ვადად განისაზღვროს საანგარიშო წლის არაუგვიანეს 15 აგვისტოსა.“
7) 8.14 მუხლს დაემატოს შემდეგი აბზაცი:
აქციონერებს და მათ წარმომადგენლებს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლიათ საერთო კრებაზე დაუსწრებლადაც, ელექტრონული საშუალების გამოყენებით.
8) წესდების 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ს/ს „სარაჯიშვილის“ სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე, აქციონერთა
საერთო კრების თავმჯდომარე:
ელგუჯა ბუბუტეიშვილი

26.1 ეს წესდება ამოქმედდეს მისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაციის დღიდან.
26.2 ამ წესდების ამოქმედების დღიდან ძალა დაკარგულად ჩაითვალოს 24.12.2021 წელს მიღებული წესდება.

ს/ს „სარაჯიშვილის“ სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე, აქციონერთა
საერთო კრების თავმჯდომარე:
ელგუჯა ბუბუტეიშვილი